<u>პროექტი</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/06/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016003) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. თბილისის საქალაქო სასამართლო

1. შეიქმნას თბილისის საქალაქო სასამართლო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ბ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

გ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;

დ) საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგია.

4. სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე არსებითად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს, ასევე განიხილავს გამოძიების ეტაპზე, წინასასამართლო სხდომამდე არანაკლებ 15 დღით ადრე, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე შესულ შუამდგომლობებს და სამართალწარმოების დასრულების შემდეგ სასამართლოში შესულ შუამდგომლობებს, წარდგინებებსა და სხვა საკითხებს.

5. საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ატარებს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და წინასასამართლო სხდომებს, განიხილავს გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ შუამდგომლობებსა და გამოძიების ეტაპთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, გარდა წინასასამართლო სხდომამდე არანაკლებ 15 დღით ადრე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე შესული შუამდგომლობებისა.“;

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 126 მოსამართლით.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 51 მოსამართლით;

ბ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 32 მოსამართლით;

გ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 27 მოსამართლით;

დ) საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში - 16 მოსამართლით.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი
„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების მიზეზი

დღეისათვის, თბილისის საქალაქო სასამართლოში შექმნილია სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც შედის 43 მოსამართლე. აღნიშნული კოლეგიის დატვირთულობის გათვალისწინებით, კოლეგიის მენეჯმენტის უფრო გაუმჯობესებისა და სისხლის სამართლის საქმეებზე სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის ნაცვლად სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიისა და საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის შექმნას, რომელთა შემადგენლობაც განისაზღვრება, შესაბამისად, 27 და 16 მოსამართლით.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგები გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.